ტრენინგი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია და სწავლების ცენტრი 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის ჩაატარა ტრენინგი იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც ბოლო არჩევნების მონაცემების გათვალისწინებით ჩართულები იყვნენ საარჩევნო პროცესებში დამკვირვებლის სტატუსით.

სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმირებულობის უზრუნველყოფას, მათ შორის, სადამკვირვებლო ფუნქციის ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობას.

სწავლების ცენტრისა და ცესკოს იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ტრენინგის მონაწილეებს გააცნეს საკანონმდებლო სიახლეები, კენჭისყრის დღის პროცედურები და დამკვირვებელთა უფლებრივ მდგომარეობა, საარჩევნო დავებთან და განცხადება/საჩივრებთან დაკავშირებულ საკითხები.

ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 10 არასამთავრობო ორგანიზაციის (თავისუფალი არჩევანი, ახალი თაობა-დემოკრატიული საქართველოსათვის, სამოქალაქო განვითარების საერთაშორისო ქსელი, სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი, ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის, ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია, საქართველოს ახალგაზრდობის განვითარების კავშირი, საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD)) 29 წარმომადგენელმა.

ტრენინგი ჩატარდა მიმდინარე წლის 27 აპრილს 12 საათზე (სასტუმრო "ჰოლიდეი ინნ", თბილისი 26 მაისის მოედანი N1) გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით.